ᲕᲐᲨᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲝᲑᲐᲡ, ᲨᲐᲕᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲙᲚᲐᲕᲒᲐᲛᲠᲯᲔᲚᲝᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲡ, ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ — ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲪᲝᲕᲔᲑᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲬᲧᲠᲘᲚᲝᲒᲝ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲔᲚᲐ ᲥᲕᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘᲡ № 29 (13423) | ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1966 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲣᲨᲝᲑᲔᲑᲘ, ᲒᲐᲕᲐᲚᲔᲑᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲯᲔᲠᲓᲔᲗ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ, ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲝᲣᲠᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲡ, ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ — ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲤᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲓᲔ ᲯᲘᲚᲓᲝ

ჩვენი ზრდისა და წინსვლის ძლავრი ნაბიჯები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

განვლილ წელს საქართველოს სს რესპუბლიკის შრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შემდგომი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

1. მრეწველობა

საერთო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა 1965 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობამ 102 პროცენტით შესრულა. 1964 წელთან შედარებით ხამრეწველო წარმოების მოცულობა 10 პროცენტით გაიზარდა.

რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული დარგების საერთო პროდუქციამ 1965 წელს 1964 წელთან შედარებით შეადგინა:

	1965 წელი პროცენტობით 1964 წელთან შედარებით
შავი მეტალურგია	105
სათბობის მრეწველობა	101
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	115
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	115
ქიმიური და რეზინ-აზბესტის მრეწველობა	128
საშენ მასალათა მრეწველობა	111
სატყეო, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობა	108
მსუბუქი მრეწველობა	96
აქედან საფეიქრო მრეწველობა	92
კვების მრეწველობა	116
აქედან:	
ხორცის მრეწველობა	118
ღვინო-კონიაკის, ყურძნისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	114
მეღვინეობა	139
ჩაის მრეწველობა	103
თამბაქოს მრეწველობა	134

საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 103 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საწარმოებმა — 99 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის საწარმოებმა — 102 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოებმა — 106 პროცენტით. 1964 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოება გადიდდა ქალაქ თბილისში 7 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 4 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 7 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 21 პროცენტით.

საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებამ რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში შეადგინა:

	1965 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1965 წელი პროცენტობით 1964 წელთან შედარებით
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო	94	115
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი	102	100,2
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	88	131
სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	99,8	111
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	102	107
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	103	96
კვების მრეწველობის სამინისტრო	103	117
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	107	115
რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	108	105
კულტურის სამინისტრო	104	134
შშენებლობის სამინისტრო	99	107
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო	94	106
პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველო	103	111
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	104	107
განათლების სამინისტრო	84	110
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	109	123
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი	100,6	102
უსინათლოთა საზოგადოება	111	111
ყრუ-მუნჯთა საზოგადოება	119	111
სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველო	164	95

მრეწველობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოებამ **რესპუბლიკაში შეადგინა:**

	წარმოებულია 1965 წელს	1965 წელი პროცენტობით 1964 წელთან შედარებით
თუჯრ — ათასი ტონა	819	101
ფოლადი — ათასი ტონა	1.363	102
ნაგლინი — ათასი ტონა	995	100,7
ფოლადის მილები — ათასი ტონა	414	102
კოქსი — ათასი ტონა	665	99
ქვანახშირი — ათასი ტონა	2.620	100,7
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატსაათი	5.993	112
მინერალური სასუქები — ათასი ტონა	435	97
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	186	102
სატვირთო ავტომობილები — ათასი ცალი	10	106
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	4.660	104
სასოფლო-სამეურნეო მანქანები (სათადარიგო ნაწილების გარდა) — მილიონი მანეთი	4	144
ცემენტი — ათასი ტონა	1.375	107
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	52	93
საწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი	631	110
ქაღალდი — ათასი ტონა	25	101
ფეიქი — მილიონი მანეთი	23	107
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	62	120
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	47	103
შალის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	5	86
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	20	87
წინდა — მილიონი წყვილი	13	111
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	18	113
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	4.951	118
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	11	103
ხორცი* — ათასი ტონა	27	105
ყველი* — ათასი ტონა	9	113
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	126	71
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	19	117
ქარაქი — ტონა	872	105
მოფუდული რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	63	112
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა	17	96
ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა	16	117
ყურძნის ღვინო* — მილიონი დეკალიტრი	8	92
შამპანური — მილიონი ბოთლი	8	104
ბაბაროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	19	109
საბონი (ცხიმოვანი მეკვლების 40-პროცენტიან შემცველობაზე გადაანგარიშებით) — ათასი ტონა	20	97

1965 წელს მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, კოქსის, მარგანეცის მადნის, ქვანახშირის, მინერალური სასუქების, სანთიზური ამიაკის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ცემენტის, შალის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლების, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, მოფუდული რძის პროდუქციის, ქარაქის, ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაის, შამპანურისა და სხვა სახეობათა ნაწარმის წარმოება.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებანი ეწეოდნენ შუშაობას მეცნიერული კვლევის დარგში და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვაზედ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

*) კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის მიწწარმოების გარდა.

1965 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში **დაინერგა საწარმოო** პროცესების **მექანიზაციისა** და **ავტომატიზაციის** და **მოწინავე ტექ**ნიკის **დანერგვის** ასამდე ღონისძიება.

მოქმედი მოწყობილობის წარმადობის ზადიდებისა და მის ტექნიკურ შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით რესპუბლიკის საწარმოებში 1965 წელს **მოდერნიზებულია 370-მდე ლითონსაჭრელი ჩარხი, ხამჭედელო-საწნეხი** და სხვა მოწყობილობა, აქედან მახქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების საწარმოებში — **200 ერთეული.**

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებში გასულ წელს **შეტანილი იყო წარმოების გაუმჯობესებისა** და **ხარულეოფის 15** ათასი **წინადადება.** სულ დანერგა **10 ათასი გამოგონება** და **რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგადაც დაიზოგა 14** მილიონი **მანეთი წლიწადზე გაანგარიშებით.**

რესპუბლიკის მრეწველობამ **შრომის ნაყოფიერების** გეგმა 1965 წელს 102 პროცენტით შეასრულა. 1964 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ 7 პროცენტი შეადგინა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა ვერ შეასრულეს სამრეწველო **პროდუქციის თვითღირებულების შემცირების** გეგმა.

2. სოფლის მეურნეობა

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდი მუშაობა გაიჩაღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და გასულ წელს **მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მეცენარეობისა** და **მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების** და **სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში.**

გასულ წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში **ყურძნის ხაერთო მოსავალი,** გადიდდა 162 **პროცენტით,** შაქრის ჭარხლისა — 36 პროცენტით, ბოსტნეულისა — 23 პროცენტით, კარტოფილისა — 7 პროცენტით.

გასული წლის გაზაფხულისა და ზაფხულის ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა **186,1 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი** ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 185 ათასი ტონისა, 2,1 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1964 წელს. ყველა კატეგორიის მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის **მარცვლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ყურძნის, კენკროვანი ნაყოფის** და **ციტრუსების** ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1966 წლის მოსავლის საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა.

1965 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ხეხილის ბაღებისა და ვენახების გაშენების გეგმა. გაშენებულია 7.173 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 4.704 ჰექტარი ვენახები, 1.545 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 708 ჰექტარი ციტრუსების, 626 ჰექტარი დაფნის პლანტაციები.

1965 წელს წინა წელთან შედარებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა სარწყავი ქსელის მქონე მიწები, რომლებმაც 355 ათასი ჰექტარი შეადგინა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. 1966 წლის მოსავლისათვის მზრალად მოხნულია 15 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. შეკეთებულია მეტი ტრაქტორი და სხვა ტექნიკა, ვიდრე დასახული იყო 1965 წლის მეოთხე კვარტალის გეგმით.

გასულ წელს გადიდდა იმ პროდუქციის ფასები, რომელსაც სახელმწიფო ყიდულობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

წინასწარი გაანგარიშებით კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 7 პროცენტით გადიდდა წინა წელთან შედარებით. კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურების ფონდი 5 პროცენტით გაიზარდა. გადიდდა იმ საბჭოთა მეურნეობების რიცხვი, რომლებმაც წელიწადი მოგებით დაამთავრეს; მაგრამ ჯერ კიდევ ყველა მეურნეობამ როდი მიაღწია წარმოების რენტაბელობას.

გაუმჯობესდა მდგომარეობა მეცხოველეობაში. პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ რესპუბლიკაში შეადგინა:

	პირუტყვის სულადობა წლის დამლევისათვის — ათასი სული 1964 წელს	1965 წელს
ყველა კატეგორიის მეურნეობები		
მსხვილფეხა რქოვანი პირუტყვი	1.457,6	1.511,5
აქედან ძროხა	595,8	606,8
ღორი	452,5	573,8
ცხვარი და თხა	2.183,0	2.168,1
კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი		
მსხვილფეხა რქოვანი პირუტყვი	651,5	657,1
აქედან ძროხა	187,5	185,2
ღორი	208,1	231,1
ცხვარი და თხა	1.409,9	1.397,8
კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში		
მსხვილფეხა რქოვანი პირუტყვი	806,1	854,4
აქედან ძროხა	408,3	421,6
ღორი	244,4	342,7
ცხვარი და თხა	773,1	770,3

გაუმჯობესდა ჯოგის მომრავლების მაჩვენებლები და გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 100 სადგომ ცხოველზე გადაანგარიშებით მიღებულია მეტი, ვიდრე 1964 წელს: ხბო — 9 პროცენტი, ოინაგი — 36 პროცენტი, ბატკანი და თოლანი — 8 პროცენტი. საშუალო წველადობა 15 პროცენტით გადიდდა, მატყლის საშუალო ნაპარსი — 19 პროცენტით, ფრინველის მოკვერცხლულობა — 19 პროცენტით.

პირუტყვის სულადობის ზრდასა და მისი პროდუქტიულობას საფუძველზე **გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება:**

	მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1964 წ.	1965 წ.	1965 წელი პროცენტობით 1964 წელთან შედარებით
ხორცი (დაკლული წონა) — ათასი ტონა	88,2	95,7	109
რძე — ათასი ტონა	443,0	474,2	107
კვერცხი — მილიონი ცალი	275,2	312,1	113

მეცხოველეობის პროდუქტების **წარმოების ზრდის შედეგად გადიდდა მათი სახელმწიფო შესყიდვა:**

	მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებიდან		1965 წელი პროცენტობით 1964 წელთან შედარებით
	1964 წ.	1965 წ.	
პირუტყვი და ფრინველი — ათასი ტონა (ცოცხალი წონა)	51,3	52,9	103
დაკლულ წონაზე გადაანგარიშებით	28,0	31,0	103
რძე — ათასი ტონა	132,4	141,0	106
კვერცხი — მილიონი ცალი	78,1	96,6	124
მატყლი — ათასი ტონა	4,6	5,0	109

პირუტყვისა და ფრინველის, კვერცხისა და მატყლის შესყიდვის გეგმა გადამეტ შესრულდა.

გრძელდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის** შემდგომი განმტკიცება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ წლის მანძილზე საკმაოდ ბევრი ტექნიკა მიიღო: 3.170 ტრაქტორი ფიზიკურ ერთეულად, ანუ 5.087 — 15-ძალიანზე გადაანგარიშებით, 918 სატვირთო ავტომობილი, 257 მარცვალსალეები კომბაინი და 67 სალოსის ასაღები კომბაინი. სოფლის მეურნეობამ დიდი რაოდენობით მიიღო აგრეთვე ტრაქტორის კიდული და მისაბმელი მანქანები: 1.475 გუთანი, 550 სათესი მანქანა, 1.135 კულტივატორი, 241 საოშავი, 461 სათიბი მანქანა, 49 უნივერსალური სატვირთავი მანქანა, 112 მინერალური სასუქების მფრქვევი მანქანა, 20 ჰერბიციდ-ამოაყის მანქანა. მინერალური სასუქების მიწოდება 11 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ეფექტიანად როდი იყენებს გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს.

3. კაპიტალური მშენებლობა

1965 წელს რესპუბლიკის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედეს 431 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 12 პროცენტით მეტია, ვიდრე 1964 წელს.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედდა **ახალი საწარმოო სიმძლავრენი. მწყობრში ჩადგა ახალი ხამრეწველო საწარმოები:** თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მე-3 ბლოკი, ლილოს რკინაბეტონის ნაწარმის პოლიგონი, ითხვისის კვარცის სილის კარიერი, ლილოსა და ფიმნის მექანიზაციის ბაზები, რუსთავის საშენი და საგზაო მანქანების შემკეთებელი ქარხანა, აჭარის გოგირდოვანი ანჰიდრიდის მიღებისა და ჩამოსხმის სადგური, ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკა, თბილისის მუსიკალური და ელექტრული ინსტრუმენტების ფაბრიკა, ოკამის ღვინის ქარხანა, ლენინგორადისა და ბათუმის ღვინის ქარხნები, ზუგდიდის ლუდის ქარხანა, თბილისის № 7 პურის ქარხანა და ახალი ათონის მექანიკური საცხობი. გარდა ამისა, **მოქმედ საწარმოებში ამუშავდა სიმძლავრენი, რომ გამოუშვან:** კაპრონის აბრეშუმი ალორდისა და ტექნიკური ნაწარმისათვის რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში, 1,1 მილიონი მანეთის პროდუქცია თბილისის ხელსაწყოს ქარხანაში, 410 ტონა დოზირებული პრეპარატი თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში, 25 ცალი ჩარხი ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში, 22 ათასი ტონა დურდოს კონცენტრატი ენგურის ელექტროზ-ქაღალდის კომბინატის ალორძლვის საამქროში, 1,5 მილიონი მანეთის ავეჯი ბათუმის ხეხილსაშენებელ კომბინატში, 3 ტონა რძე ცვლაში სოხუმის რძის ქარხანაში, 8 ათასი ტონა ფილა ჩაი სამტრედიის ჩაისსაწნეხ ფაბრიკაში, 480 ათასი დეკალიტრი ღვინო ყვარლის მინისქვეშა ღვინის საცავში, დდე-ღამეში გადაამუშაონ 125 ტონა ყურძენი, ამბიტის პირველადი მეღვინეობის ქარხანაში, წლიურად ჩამოასხან 1.400 ათასი დეკალიტრი ღვინო ზესტაფონის ღვინის ქარხანაში, ოჩამჩირის ზეთსახდელ ქარხანაში დღე-ღამეში 80 ტონა ზეთოვან მცენარეთა თესლის გადასამუშავებელი საექსტრაქციო საამქრო, მარნეულის ეთერზეთოვანთა ქარხანაში 4 ათასი კვადრატული მეტრი სათბურები და სხვ.

მწყობრში ჩადგა 4 ნავთობის ჭაბურღილი, ნავთობტეგადობა, 35 კილოვატისა და მეტი სიმძლავრის ელექტროგადაცემის ხაზები, სხვადასხვა ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის, ტელეფონრადიოტრანსლიტი ქვესადგურები, სამაცივრო დანადგარები, საავტომობილო გზები, ავტომშემკეთებელი ქარხნები, ავტომატური სატელეფონო სადგურები, კავშირგაბმულობის, რადიოსარელეო ხაზები, ზუგდიდი-ჯვარი-ენგურჰესის რკინიგზის ხაზი.

გადიდდა ხარწყავი და ამოშრობილი მიწების ფართობი. **აშენდა** მარცვლისა და მინერალური სასუქების საწყობები, მეცხოველეობის სადგომები მსხვილფეხა რქოვანი პირუტყვისათვის, ღორებისათვის, ცხვრებისა და თხებისათვის საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში. **ამოქმედდა** საზოგადოებრივი კვების საცალო ვაჭრობის საწარმოები.

მაგრამ ზოგიერთი საწარმოო სიმძლავრის ამოქმედების გეგმა არ შესრულებულა.

1965 წელს სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულმა კაპიტალურმა დაბანდებებმა რესპუბლიკაში შეადგინა 477 მილიონი მანეთი, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 266 მილიონი მანეთი. 1964 წელთან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 14 პროცენტით გადიდდა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 13 პროცენტით. ამასთან კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა არ შესრულებულა.

1964 წელთან შედარებით **კაპიტალური** დაბანდებანი **გადიდდა:** შავ მეტალურგიაში — 12 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 8 პროცენტით, მანქანათმშენებლობაში — 14 პროცენტით, სამშენებლო იდუსტრიაში — 16 პროცენტით, სატყეო, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში — 48 პროცენტით, კვების მრეწველობაში — 12 პროცენტით, სამედიცინო მრეწველობაში — 15 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 33 პროცენტით, აბრეშუმისა და საზოგადოებრივ კვებაში — 29 პროცენტით და სხვ. მაგრამ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში, ისევე როგორც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, არ შესრულებულა.

1965 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა საკუთარი ძალებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გასულ წელთან შედარებით 8 პროცენტით გაადიდეს. ამასთან საიჯარო საბუშაოთა წლიური გეგმა არ შესრულებულა.

სამშენებლო ორგან-ზაციებმა გაატმჯობესეს მუშაობა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, უკეთ იყენებდნენ საშენ მანქანებსა და მექანიზმებს.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში გასულ წელს 1964 წელთან შედარებით 8 პროცენტით გადიდდა.

4. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთის გაგზავნის წლიური გეგმა 102 პროცენტით შეასრულა, აქედან ქვანახშირისა — 103 პროცენტით, ნავთობტვირთისა — 105 პროცენტით, შავი ლითონებისა — 103 პროცენტით, ყოველგვარი მაღნისა — 100,8 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 71 პროცენტით.

საშეალო სადღეღამისო დატვირთვის წლიური გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვისა — 107 პროცენტით. 1964 წელთან შედარებით საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვა 5 პროცენტით გადიდდა.

შესრულებულია სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის წლიური გეგმა, ამასთან დაცულია ერთ ტექნიკურ სადგურში ვაგონების დგომის დამტკიცებული ნორმა. მაგრამ არ შესრულებულა სატვირთო მატარებლის საგნო სიჩქარისა და ერთ ტექნიკურ სადგურში ერთი სატვირთო ოპერაციისათვის ვაგონის დგომის საშუალო დროის წლიური გეგმა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტით** 1965 წელს გადაზიდულია 57 მილიონზე მეტი ტონა ტვირთი, ამასთან გაგლილია 774 მილიონი ტონა-კილომეტრი.

ტვირთბრუნვის **და** ტვირთბრუნვის წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. 1964 წელთან შედარებით ტვირთზიდვა 8 პროცენტით გადიდდა, ტვირთბრუნვა — 9 პროცენტით.

ცენტრალიზებულმა გადაზიდვამ ტვირთზიდვის საერთო მოცულობის 75 პროცენტი შეადგინა. 1964 წელთან შედარებით ცენტრალიზებული გადაზიდვა 16 პროცენტით გადიდდა.

1965 წელს **საავტომობილო** ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებით გადაყვანილია 370 მილიონზე მეტი მგზავრი და გაგლილია 2.734 მილიონ მგზავრ-კილომეტრზე მეტი. მაგრამ მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრბრუნვის წლიური გეგმა არ შესრულებულა. 1964 წელთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 3 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 12 პროცენტით.

მსუბუქი ტაქსომოტორების გამოყენების წლიური გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. 1964 წელთან შედარებით ტაქსომოტორების მუშაობის მოცულობა 15 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს **საჰაერო ტრანსპორტით** გადაყვანილია 26 პროცენტით მეტი მგზავრი, ვიდრე 1964 წელს; მგზავრბრუნვა გადიდდა 42 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 114 პროცენტით.

გზატკეცილთა მთავარმა სამმართველომ საავტომობილო გზების რემონტის გეგმა (ადგილობრივი გზების ჩაუთვლელად) შეასრულა 103 პროცენტით, აქედან საკავშირო მნიშვნელობის გზებისა — 102 პროცენტით, რესპუბლიკური მნიშვნელობისა — 104 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით გზების რემონტი 3 პროცენტით გაიზარდა.

1965 წელს **გადიდდა კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელი.** გაიხნა კავშირგაბმულობის 49 ახალი განყოფილება. საქალაქო ავტომატური ტელეფონების სადგურების სიმძლავრე წლის განმავლობაში გადიდდა 11 ათასი ნომრით. სოფლად საექსპლოატაციოდ გადაცემულია 11 ავტომატური ტელეფონის სადგური. სოფლად ავტომატური ტელეფონის სადგურების სიმძლავრე გადიდდა 940 ნომრით.

5. ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა **რესპუბლიკის ხახალხო მეურნეობაში 1.206** ათასი შეადგინა და წლის განმავლობაში **58 ათასი კაცით** გადიდდა.

მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის **საწარმოების** მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვი წლის განმავლობაში გადიდდა 40 ათასით, სკოლებს, სასწავლებლებს, სამეცნიერო-საკელევი, სამედიცინო დაწესებულებების მუშაკთა რიცხვი — 7 ათასით; ვაჭრობის, **საზოგადოებრივი** კვებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რიცხვი — 8 ათასით.

სახალხო მეურნეობის ბოელი რიგი ინ **დარგების** მუშაკთა ხელფასის **გადიდებისათვის** განხორციელებულ ღონისძიებათა **შედეგად,** რომლებიც **უშუალოდ** ემსახურებიან **მოსახლეობას,** 1964 წლის მეოთხე კვარტალში და 1965 წელს ხელფასი მოემატა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სხვა დარგების 400 ათასზე მეტ მუშაკს.

1965 წლის 1 იანვრიდან ყველგან **დამთავრდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა** და **მოსამსახურეთა ხელფასის ახალი (გადიდებული) მინიმუმის შემოღება.**

ყველა მუშისა და **მოსამსახურის** საშუალო თვიური ხელფასი შარშანდელთან შედარებით თითქმის 6 პროცენტით გადიდდა.

მსაცმლები და **შეოავათები,** რასაც **რესპუბლიკის** მშრომელები იღებენ **მოხმარების ხაზოგადოებრივი** ფონდებიდან: მუშაკთა და მოსამსახურეთა **შეკეთლების** ანაზღაურება, ორსულობისა და მშობიარობის **გამო შეკეთლების** ანაზღაურება, ავადყოფობის დროს პენსიები და **დახმარება,** უფასო **სწავლებისა** და **უფასო** სამედიცინო დახმარების ღირებულება, აგრეთვე სხვა მასაცმლები და შეღავათები **1965 წელს წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით** და **მეტად გაიზარდა.**

1965 წლის 1 იანვრიდან შემოღებულია კოლმეურნეთა უზრუველყოფა სახელმწიფო პენსიით.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში გადიდდა 32 პროცენტით და 1965 წლის დამლევისათვის შეადგინა 357 მილიონი მანეთი. ანაბრების რიცხვმა 797 ათასს მიაღწია.

სახელმწიფო **და** კოოპერატიული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ,** საზოგადოებრივი კვების ჩათვლით, 1965 წელს შეადგინა 1.477 მილიონი მანეთი და 1964 წელთან შედარებით გაზარდა, შესადარ ფასებში, 119 მილიონი მანეთით, ანუ 8,7 პროცენტით. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა ამ პერიოდში გაზარდა 4,1 პროცენტით.

სოფლად მოვაჭრე სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვამ შეადგინა 444 მილიონი მანეთი და წლის მანძილზე, შესადარ ფასებში, 40 მილიონი მანეთით, ანუ 11,3 პროცენტით გაზარდა.

გარდა ამისა, სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვამ — ადგილობრივ ბაზრებზე წარმოქმნილ ფასებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვამ შეადგინა დაახლოებით 26 მილიონი მანეთი.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 100,1 პროცენტით.

ვაჭრობის სამინისტრომ საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა შეასრულა 100,3 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციამ — 100,9 პროცენტით.

ცალკეული საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაყიდულია 1965 წელს პროცენტობით 1964 წელთან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და ხორცის სხვა პროდუქტები	100,4
ქარაქი	97
ძეხვარეული ზეთი	132
რძე და რძის პროდუქტები	129
ყველი	141
კვერცხი	141
მაკარონი	117
საკონდიტრო ნაწარმი	100,2
კარტოფილი	101
ბოსტნეული	102
ხილი, კენკრა და ბაღეული	116
ბამბის ქსოვილები	103
შალის ქსოვილები და თაგშლები	105
აბრეშუმის ქსოვილები	119
სამკერვალო საქონელი	109
ტრიკოტაჟის ნაწარმი	109
წინდები	101
ტყავის ფეხსაცმელი	107
ფეიქი	100,1
საკერავი მანქანები	102
საათები	106

საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად მოსახლეობის მოთხოვნილება ზოგიერთ სამრეწველო საქონელზე, სახელდობრ საოჯახო მაცივრებზე, ცალკეულ სახეობათა ტელევიზორებზე, საშენ მასალებზე სრულად ვერ კმაყოფილდებოდა. ამავე დროს საგაჭრო ქსელს აქვს ისეთი საქონელი, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნილება არ არის.

1965 **წლის** 25 **აპრილიდან დაიკლო** შალის, აბრეშუმის, სელის ქსოვილების, ამ ქსოვილებისგან შეკერილი ტანსაცმლისა და თეთრეულის, აგრეთვე სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის **სახელმწიფო საცალო ფასებმა,** რის შედეგადაც მოსახლეობამ მნიშვნელოვანი სარგებლობა ნახა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდასთან დაკავშირებით ფასებმა **დაიკლო საკოლმეურნეო ბაზრებშიც.**

გაგვლილ წელ



როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო წესდება?

ცხოვრება ასე გვიკარნახებს

ა. მარგალიტაშვილი,
თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ თავმჯდომარე.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შექმნილია კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი. ეს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენაა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებამ, რომელიც კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობამ მიიღო, დიდი როლი შეასრულა სოფლად წარმოების სოციალისტური წესის დამკვიდრების საქმეში. შეიქმნა მსხვილი სოციალისტური კოლექტიური მეურნეობები, რომლებიც განტკიცდნენ მეურნეობრივად და ორგანიზაციულად, დაგროვდა საზოგადოებრივი მეურნეობის გაძლიერის მდიდარი გამოცდილება. კოლმეურნეობები სულ უფრო მეტად აკმაყოფილებენ სოფლის მშრომელთა გაზრდილ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს საზოგადოებრივი მეურნეობიდან.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ ეკონომიკა სისტემატურ აღმავლობას განიცდის და იგი რაიონის ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობად ითვლება. ჩვენი კოლმეურნეობის სიმდიდრისა და ძლიერების მთავარ საყრდენ მევენახეობა წარმოადგენს. 1965 წელს მევენახეობიდან მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 521 ათასი მანეთი, ანუ მთელი ფულადი შემოსავლის 73,4 პროცენტი.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებასა და ეკონომიურ აღმავლობაზე თვალნათლივ მეტყველებენ შემდეგი მონაცემები: 1965 წელს 1955 წელთან შედარებით ვენახის ფართობი გაიზარდა 121 ჰექტარით, ყურძნის საერთო მოსავალი — 488 ტონიდან 1.134 ტონამდე, ხოლო მოსავლიანობა ჰექტარზე 72 ცენტნერიდან 84 ცენტნერამდე, სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე—24 ცენტნერიდან 41,3 ცენტნერამდე, ხოლო საერთო მოსავალი — 159 ტონიდან 430 ტონამდე.

შესაბამისად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობაც. მაგალითად, ძროხის საშუალო წველადობამ 1965 წელს შეადგინა 1.312 კილოგრამი ნაცვლად 1955 წლის 730 კილოგრამისა, ძროხის საერთო წარმოება გაიზარდა 93 ტონით. 1965 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წარმოებულ იქნა 293 ცენტნერი რძე და 59 ცენტნერი ხორცი. აღნიშნულ პერიოდში კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი გაიზარდა 175.756 მანეთიდან 710.173 მანეთამდე, ხოლო მევენახეობიდან მიღებული ფულადი შემოსავალი 128.790 მანეთიდან 521 ათას მანეთამდე. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე კოლმეურნეობამ მიიღო 134.995 მანეთი საერთო შემოსავალი.

ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად დიდდება კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურებაზე გასაცემი თანხების ოდენობა. მაგალითად, თუ 1955 წელს შრომის ანაზღაურებაზე გაიცა მთელი ფულადი შემოსავლის 35 პროცენტი, 1965 წელს ამ მაჩვენებელმა 64,3 პროცენტს მიაღწია. შრომის ანაზღაურებაზე გაცემული 456.630 მანეთიდან ძირითადმა ანაზღაურებამ შეადგინა 361 ათასი მანეთი, ანუ 79 პროცენტი. ერთი კაცდღის შეფასებამ 8,28 მანეთს მიაღწია.

ეკონომიურ ეფექტიანობას, ეკონომიურ ანგარიშს ფართოდ ვიყენებ ჩვენ ბაღჩეულობაში, ბოსტნეულობაში, ხეხილეულობაში, ბოსტნეულ კულტურებსა და ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებს ფართობებზე.



მოძმე სომხეთში

ДОМКРАЗЕБИ СНЕВЕНЕ САРТУЛЕБА

СОМХЕТИШИ МШენებლებმა წარმატებით განახორციელეს საქართველოს ინვესტიციების აწევის მეთოდით საექსპერიმენტო მშენებლობა. ამ მეთოდით შესაძლებელია მშენებლობა ძლიერ დასერილ და სეისმურ ადგილზე და მას ბევრი უპირატესობა აქვს.

საკმარისია ითქვას, რომ მსხვილპანელიან შენობებთან შედარებით ახალი მეთოდით აშენებული სახლებში კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება 9 მანეთით შეირდება, ხოლო ქვით, ტუფით მოპირკეთებულ სახლებთან შედარებით — 23 მანეთით. იზოგება აგრეთვე დიდძალი ლითონი და ცემენტი. საართულებლის აწევის მეთოდის გამოყენებისას საჭირო არ არის კოშკური ამწეები — მათ ჰიდრო და ელექტროდომკრატები ცვლიან.

წელს ახალი მეთოდით ერევანში აიგება ოთხი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი და ადმინისტრაციული შენობა. მომდინარე წელს დაიწყება აგრეთვე „დაწყვილებული სამფუცელას“ ტიპის თორმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ერევანში, ლენინაკანში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ВОЕДАНИ САХЕС ИЦВЛИС

КИРОВИС სახელობის მოედანი კიროვაკანის ადმინისტრაციული ცენტრი და ქალაქის ერთ-ერთი ლამაზი არქიტექტურული ანსამბლია.

ამჟამად დაიწყო მისი გენერალური რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც იგი კიდევ უფრო გაფართოვდება და დამშვენდება. მოედანზე შენდება განიერი დეკორაციული აუზი შადრევნებით. ორი-გინალურად არის გადაწყვეტილი ტრიბუნა. სპეციალური კონსტრუქციებისა და მოწყობილობის მეშვეობით მისი გადაკეთება შეიძლება საკონცერტო მოედნად.

ТБИЛИСШИ ЗА. И. ЛЕНИНИС САХЕЛОБИС ЕЛЕКТРОМАНქანათსამშენებლო ქარხანაში

УСХОЕТИС КВЕУНЕБИСАТВИС

დაამზადეს მოძრავი ტრანსფორმატორული კომპლექტური ქვესადგურები ტროპიულ პირობებში მუშაობისათვის. იგი შექმნეს ინდოეთის მანიკპურის ქვანახშირის კარიერის ელექტრომომარაგებისათვის. მანქანები უკვე გაიგზავნა ინდოეთში.

„დაზოს“ ტიპის დიდგაბარიტიანი ელექტროძრავები გაიგზავნა აგრეთვე ბულგარეთსა და რუმინეთში, სომხური მარკის მოძრავ ელექტროსადგურებს მიიღებენ მონღოლეთსა და ავღანეთში. ვიეტნამში იმუშავებს 45 დიზელ-ელექტრული სადგური.

ГАМОФЕНА... МОГЗАУРОГС

ЦНОБИЛი სომეხი მხატვრის მარტიროს სარიანის ნაწარმოებთა გამოფენა თბილისში ორი თვეა საზღვარგარეთ მოგზაურობს. მას შემდეგ, რაც იგი მოსკოველებმა ნახეს, ექსპოზიცია დათვალიერეს ბუქარესტში, შემდეგ კი პრაღაში, ბრატისლავაში. ამჟამად მ. სარიანის ნამუშევრები გაიგზავნა დრეზდენში — მსოფლიო ფერწერის შედევრთა საგანძურის ქალაქში. მას გაეცნობიან აგრეთვე ბერლინსა და ლაიპციგში.

ინტერესი სომეხი მხატვრის შემოქმედებისადმი იმდენად დიდია, რომ, როგორც ჩანს, გამოფენას ხანგრძლივი მოგზაურობა მოუწევს. სარიანის ტილოები სურთ ნახონ ბუდაპეშტში, პარიზში, სადაც ექსპონირებული იქნება საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებები.

ДИПЛОМИ — МАღАРОЛДА УНИВЕРСИТЕТШИ

ბაშკირის სპილენძის მადნის კომბინატთან არსებულ ტექნიკის უნივერსიტეტში 120-ზე მეტი კაცი სწავლობს. ესენი ძირითადად ტექნიკოსები, წარმოების ნოვატორები არიან. შარშან უნივერსიტეტის მსმენელებმა მოისმინეს 35 ლექცია-მოხსენება ტექნიკურ-ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე. ლექციებს უმეტესად კითხულობენ სომეხი მეცნიერები.

საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე უნივერსიტეტების საკავშირო დათვალიერებაში კაფანელ მაღარელთა უნივერსიტეტმა მეორე ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია დაიმსახურა.

КИНОТЕАТРИ «АНИ»

СОМХЕТИШ დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა დაამშვენა ახალმა კინოთეატრმა. „ანი“ — ასე შეარქვეს ამ კინოთეატრს. იგი აგებულია მსუბუქი ლითონკონსტრუქციებითა და მინით, ყოველნაირად კეთილმოწყობილია მშრომელთა კულტურული დასვენებისათვის. კინოთეატრს აქვს 600-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი და ვრცელი ფოიე.



სურათებზე: ზემოთ — რეს პუბლიკის დედაქალაქი ერევანი; ქვემოთ — ერევნის ხ. სპენდიაროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობა.

ფოტო ა. კლეკჩიანისა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ახალი შეხვედრა სცენაზე

თბილისში ორი კვირა იყო თბილისში საგასტროლოდ საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე. მომღერალი გამოვიდა ჩვენი საოპერო თეატრის ოთხ სპექტაკლში — ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ (გერმანი), პუჩინის „ტოსკაში“ (კავარადოსი), ბიზეს „კარმენში“ (დონ ხოზე) და ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“ (აბესალომი).

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „აბესალომ და ეთერი“. აბესალომი — ზ. ანჯაფარიძე (მარჯვნივ), მურმანი — დ. გამრეკელი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეგობრები 16 ქვეყნიდან

РУСТАВИ. (საკ.კორ.). ამ დღეებში რუსთავში სტუმრად ჩამოვიდნენ ლათინური ამერიკის 16 ქვეყნის წარმომადგენლები. ისინი ყველანი ამჟამად მოსკოვში მატრის ლუმუმბას სახელობის მეგობრობის უნივერსიტეტში სწავლობენ.

სტუმრებმა დათვალიერეს მეტალურგიული ქარხნის და ქიმიური კომბინატის საამქროები, გაეცნენ და ესაუბრნენ საწარმოების მოწინავე ადამიანებს.

სტუმრების ჩამოსვლისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე დელეგაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვიქტორ მესამ თქვა:

— ჩვენ ვსწავლობთ თქვენთან, მოსკოვში და თავს ისე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში. მოსკოვის მეგობრობის უნივერსიტეტი იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ ცდილობს საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ხალხების მეგობრულ შეკავშირებას, მშვიდობის განმტკიცებას და უთანიერთანატვისცემის გაღრმავებას. მოგვეწონა რუსთავი. ის ხომ მთლად ახალგაზრდაა.

გვინდა ვუსურვოთ რუსთავის მშრომელებს და მთელ ქართველ ხალხს შემდგომი აყვავება, სიხარული და ბედნიერი ცხოვრება.

წელს მოსკოვის მეგობრობის უნივერსიტეტში იმაზე მეტი სტუდენტი სწავლობს, რამდენსაც უსწავლია უკანასკნელი 70 წლის მანძილზე ევროპის ყველა სხვა ქვეყანაში. ამიტომაც გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ საბჭოთა ხალხს ჩვენდამი ასეთი მეგობრული დამოკიდებულებისათვის.

საღამოს სტუმრებიც და მასპინძლებიც მეტალურგთა კულტურის სასახლეს ეწვევნენ. გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა.

„ნონეტს“ უსმენდა მოსკოვი

თბილისში დაბრუნდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიწვევით გამოდიოდა მოსკოვში. ეს მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა ფორმა და ანარი ორკესტრისა, რომელიც ცხრა სპეციალისგან შედგება და ამიტომ ეწოდება ნონეტი. საბჭოთა კავშირში პირველად თბილისში შეიქმნა. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს მოსკოველებმა ამ ახალი ანსამბლის კონცერტებისადმი.

პირველი ნონეტის პირველ კონცერტს, რომელიც სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის დიდ დარბაზში გაიმართა, დაესწრო მოსკოვის მუსიკალური საზოგადოებრიობა. ანსამბლის მოსასმენად მოვიდნენ გამოჩენილი კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნეები. კრიტიკოსები.

მოსკოველებმა მოისმინეს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რომლებიც სპეციალურად ნონეტისათვის არის დაწერილი: რ. გაბიჩვაძის „ამერეული სიმღერა“ (ცხრა ინსტრუმენტისათვის“, ს. ნასარიძის „კვარტეტი ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის“, ნ. მამისაშვილის სამი მინიატურა, ზაქარეთელი ჩეხი კომპოზიტორის ი. ნოვაკის საორკესტრო ნაწარმოები „ბალეტი ცხრა ინსტრუმენტისათვის ოთხ ნაწილად“ და გერმანელი კომპოზიტორის ლ. შპორის ოთხნაწილიანი ნონეტი, რომელიც მუსიკათმცოდნეთა მიერ ამგვარი ნაწარმოებების კლასიკად არის აღიარებული.

გარდა კომპოზიტორთა კავშირის დიდი დარბაზისა, საქართველოს ახალმა ანსამბლმა კონცერტები გამართა მოსკოვის საგაიეთო ინსტიტუტსა და ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საკავშირო ტელევიზიის საშუალებით ქართული ნონეტის კონცერტი მილიონობით ტელემაყურებელმა მოისმინა.

Ზ. РЦЕХИЛАძე.

ახალ ბინებში

ТКИБУЛი. (საკ. კორ.). ოქტომბრის კუჭის არქიტექტურულ ანსამბლს კიდევ ერთი კაპიტალური ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი შეემატა. ამ დღეებში ახალმოსახლეობა იზეიმა 60 ოჯახმა. ბინები მიიღეს ორჯონიკიძის სახელობის შახტის მეხეინავე მეშახტეებმა ნ. ნოსელიძემ, ა. ნასარიძემ, ი. მეტანაძემ, მასწავლებელმა ჯ. ქათამაძემ, ექიმმა რ. რუხაძემ, ავტომანქანის მძღოლმა გ. გოცირიძემ.

ТБИЛИСИ ДА ТБИЛისელები

საინტერესო ადგილების სამყაროში

„არქიტექტურული პალეოლითი“

ახალმა აღმოჩენებმა დაარწმუნეს სპეციალისტები, რომ სსრ კავშირის ევროპული ნაწილის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში მართლაც არსებობს „არქიტექტურული პალეოლითი“, კოლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნინო გურინას მეთაურობით დაადგინა, რომ სსრ კავშირისა და ნორვეგიის ახლანდელი საზღვრის რაიონში პირველი ბინადრები შვიდი ათასი წლის წინათ გაჩნდნენ.

რიბაჩის ნახევარკუნძულზე ექსპედიციამ დაადასტურა ადრე აღმოჩენილი ცხრა სადგომის არსებობა და ოცზე მეტი ახალი სადგომი აღმოაჩინა. სახელწოდება „არქიტექტურული პალეოლითი“ პირობითად უნდა მივიჩნიოთ, უთხრა გურინამ სიდ ლისის ეროსპონდენტს. აღმოჩენილ ძეგლებს ჩვენ მივაკუთვნებთ მეზოლითის ეპოქას. (შუა ქვის ხანა).

პირველ მოგზაურთა ზარბაზანი

უსურიისკის № 7 სკოლის მოსწავლეებმა იპოვეს პირველ რუს მოგზაურთა ზარბაზანი. მისი პატარა ლულა მთლიანად ჩაჟანგული იყო. ლულის სიგრძე 65 სანტიმეტრია. დიამეტრი — 41 მილიმეტრი, წონა — დაახლოებით სამოცი კილოგრამი. უკანა ნაწილი უსაკეტოა, რომელსაც ზემოდან საფალო ნახვრეტი აქვს.

ძველებური იარაღი XVI საუკუნის შუა წლების სიათს მოგვაგონებს. ამ ზარბაზნით ისროდნენ ყუმბარებსა და შრაპნელს 250 საჟენამდე მანძილზე.

საინტერესო ნაპოვნი შეემატება ქალაქის მუზეუმის ექსპონატებს, რომელიც უსურიისკის 100 წლისთავისათვის იქმნება.

რით ისაუზმა კაშალოტმა?

ზუნარი ოკეანის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიეროსაკვლევი ინსტიტუტის მეცნიერებმა უნიკალური კოლექცია შეაგროვეს. კოლექციაში შედის... სპბავშვო ალსტმასის ავტომობილი, ქალის თეთრი სინთეზური ჩანთა პლაჟისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაკეთებული კრემის ტუბი, კანადური წარმოების პოლიეთილენის სათაბახო პარკი, პლასტმასის სამარილე, ფეხსაცმლის ჩასაცმელი კაჭაპი, ოდეკოლონის შუშა.

მთელი ეს ნადავლი ინსტიტუტის მუშაკებმა კუშმი ადმოაჩინეს კაშალოტებს, რომლებიც შორეული ალმოსავლეთის ვეშაპმონადირეებმა დახოცეს უკანასკნელ რეისში. ფიქრობენ, რომ კაშალოტები თეთრი ფერის ნაგნებმა მიიზიდა.

ვეშაპმონადირეებს ყოველი რეისიდან ჩამოაქვთ უჩვეულო ახალი ამბები. მაგალითად, ერთხელ, თურმე ვეშაპთაზნის ქიმზე აიტანეს უზარმაზარი კბილებიანი ვეშაპი, რომელსაც პირში გაჩხერილი ჰქონდა საავიაციო სპურავი, სპურავი თითქმის შეზრდილი იყო ყბაში. ერთ-ერთი კაშალოტი, რომელიც ოკეანეში მოინადირეს, ალბინოსი აღმოჩნდა. მეორე კაშალოტი „ფეხიანი“ იყო. — მას სხეულის უკანა ნაწილზე ჰქონდა პატარა გამონაზარდები — უკანა კიდურების რუდიმენტები.

გასული საუკუნის ფოტოდოკუმენტები

ქამჩატკის პეტროპავლოვსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს აჩუქეს იშვიათი ექსპონატი — კამჩატკაზე 80 წლის მეტი ხნის წინათ გადაღებული ფოტოსურათების ალბომი.

ალბომში წარმოდგენილია ამ მხარის ყველაზე შეუსწავლელი პერიოდი. ეს ეხებოდათ დოქტორ დიბოვსკის — ნახევარკუნძულის ერთ-ერთი მკვლევარის ბანაკს, ხორუნეის დავით სავინსკის — პეტროპავლოვსკის 1854 წლის დაცვის მონაწილეს. ფართოდ არის წარმოდგენილი ყოფილი მეფის რუსეთის გაპარა ბარის ბერის ცხოვრება. ფოტოგრაფს აუსახავს ღირსშესანიშნავი მოვლენებიც. სურათებზე არის დიდების ძეგლის გახსნა, ცხონები რუსული გემების ვიზიტები პეტროპავლოვსკის ნავსადგურში.

უნიკალური ალბომი მუზეუმს გადასცა ანთროპოლოგმა ნ. გ. ზალკინდმა. მან ალბომი ორმოცი წლის წინათ შეიძინა ყაზანში. ახლა მუზეუმის თანამშრომლები ოლქის ძველ მაცხოვრებლებთან ერთად ცდილობენ დადგინონ, თუ ვინ იყო ამ ძვირფასი ფოტოსურათების ავტორი. (საკ.ფდსი).

ТБИЛИСИ ДА ТБИЛისელები

საბჭოთა წყვილების ტრიუმფი

БРАТИСЛАВА. აქ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ევროპის 57-ე ჩემპიონატი ფიგურულ ციგურობაში. ევროპისა და მსოფლიოს, აგრეთვე ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონებმა ლიუდმილა ბელოუსოვამ და ოლეგ პროტოპოპოვმა აღტაცებაში მოიყვანეს არა მარტო მაყურებლები, არამედ ამ საქმის სპეციალისტები. წყვილთა ციგურაობაში მათ 104 ქულა შეაგროვეს და ნატერნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ. მეორე ადგილზეც საბჭოთა მოციგურაველები აღმოჩნდნენ. ესენი იყვნენ ტ. ეუკი და ა. გორელიკი — 101,4 ქულა.

ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაეწყვეტა ნებისმიერ ვარჯიშებს. ამ ასპარეზობას მილიონობით ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. ჩვენმა სპორტსმენებმა აჩვენეს ფიგურული ციგურაობის უბადლო ოსტატობა. კვლავ გამოირჩეოდნენ ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, რომლებმაც ევროპის ჩემპიონობა დაიმსახურეს. მეორე საბჭოთა წყვილი ტ. ეუკი და ა. გორელიკი — ვერცხლის მედალის მფლობელი გახდა.

ТАЛИНის ТУРНИРШი

ДИДКАЛი მაყურებელი ჰყავდა ტალინში საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს. ადგილობრივ ლიგის კალათბურთელ მეოთხეებს, შორის.

გუშინ თბილისის დინამოელები შეხვდნენ ლენინგრადის გუნდს — „სპარტაკს“. ბოლოს თბილისელთა ლიდერობით დაიწყო და მათ ტაიმი 13 ქულა სხვაობით — 45 : 32 მოგებეს. მეორე ნახევარში ლენინგრადელებმა კონტროლი მაინ უკანასკნელს. მართალია, მათ შეძლეს ქულათა სხვაობის შემცირება, მაგრამ დამარცხებას თავი მაინც ვერ დაიწილეს. თბილისელ „დინამოს“ გუნდმა აქტიურ ქულა ჩაიწერა, გაიმარჯვა ანგარიშით 84 : 77.

ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი მოსკოვის „დინამო“ შეხვდა კიევის „ბერეგინიას“ და ამარცხა მეტოქე 59 : 55. კიევსაც „ბერეგინიასა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ სპორტი კლუბს. კალათბურთელთა მატჩის შედეგი 78 : 69 კიეველთა სასარგებლოდ. სვერდლოვსკის „უკალმაშმა“ ანგარიშით 73 : 68 დაამარცხა რიგელი.

ჩემპიონმა — ცსკა-მ „მძაფრ ბრძოლაში“ დაამარცხა კიევის „სტროიტელი“ 80 : 74. ტარტუს „კალევმა“ მოიგო ... ცსკა-ს 75 : 63.

ამრიგად, პირველი წრის შემდეგ ცსკა-ს 10 ქულა აქვს, კიევს „სტროიტელსა“ და რიგის სკა-ს — შვიდ-შვიდ ქულა, კიევის სკა-სა და ტარტუს „კალევს“ — ექვს-ექვსი ქულა, ... ეფეფ-ს, ლენინგრადის „სპარტაკს“, თბილისის „დინამოსა“ და ... „ბერეგინის“ — ხუთ-ხუთი ქულა.

СПОРТУЛი ХРОНИКА

□ დღეს მინსკში იწყება საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში ი. პოდდუბნის პრიზზე, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს გუნდი სოფიაში გაემგზავრება და იქ პაექრობა ექნება ბულგარელ მოჭიდავეებთან.

□ რუბრიკ ცნობილია, ჯორეის საბალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირის მონაწილეა. სწორედ ამ გუნდთან ეჭნება სსრ კავშირის ნაკრებს პირველი მატჩი მეოთხე ჯგუფში. ჩვენმა მეტოქემ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ლონდონის ასპარეზობისათვის მზადების მნიშვნელოვან ნაწილს იგი გაატარებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და აქვე ექნება მატჩები ადგილობრივ ფეხბურთელთა საკლუბო გუნდებთან.

ТЕЛЕВИზИა

4 თებერვალი

11.00 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — მხატვრული ფილმი, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ბავშვებისათვის „მოდით, ერთად ვიმღეროთ“, 18.15 — მოსწავლეთათვის — კანონიდან მოთხრობა „წაბლი“, 18.35 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „როგორია იგი, ზღვა?“, 19.55 — ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე, 20.15 — კინონარკვევი, 20.35 — „რუსთაველიანა“, 22.05 — მხატვრული ფილმი, 22.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.55 — გადაცემათა პროგრამა 5 თებერვლისათვის, 23.00 — ევროპის პირველობა ციგურებით სრიალში (გადმოცემა ბრატისლავიდან).

მეცხრე არხზე — 17.55-01.45 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

5 თებერვალი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — თქვენთვის, პატარებო!, „ცერრდენას ეკრანი“, 17.30 — ოქტომბრელთათვის „ფანქარას გამოფენაზე“, 18.00 — კინონარკვევი, 18.10 — მეცრიან დები ფიზიელები, 18.25 — კინონარკვევი, 18.45 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდობა“, 19.25 — კინონარკვევი, 19.55 — „ჩვენი სატელევიზიო ფიშა“, 20.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.00 — მხატვრული ფილმი, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 6 თებერვლისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ევროპის პირველობა ციგურებით სრიალში (გადმოცემა ბრატისლავიდან).

მეცხრე არხზე — 16.55-01.30 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

ДА ВЕДЕБოთ, ДА Шოვისშინოთ

თეატრები

4 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სეგედელი დალაქი (1-ლი აბონ. მე-3 წარმოდგენა). რუსთაველის სახელობის დიდი დრამაზი — იუგოსლავიის ესტრადის კონცერტი. რუსთაველის სახელობის მცირე დრამაზი — შეხვედრა, მარჯანიშვილის სახელობის — ფითრი, გრიბოედოვის სახელობის — ბატის ფრთა (მე-11 აბონ. მე-5 წარმ.), ვახტანგ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — რაც გინახავს, ეველარ ნახავ, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (მოწარმოებულია მაყურებლთა ქართული თეატრის წარმოდგენა) — შალითან ნიხო (№ 43 აბონ. დილის 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა ქართული — კონკია (№ 38 აბონ. დილის 10 ს.).

მორალის თემაზე

დანგრეული ბუდე

ДАРБАЗი მაყურებლებით არის გაჭედილი. სცენის სიღრმეში როიალი დგას. უკრავს გოგონა. ირგვლივ იღვრება ფორტეპიანოს საამო ხმები. იცვლებიან შემსრულებლები — პირველი, მეორე, მესამე, და ბოლოს ყველანი ბედნიერი ბავშვური სიხარულით დარბაზისაკენ მიეშურებიან, მაგრამ იქ ეგებებიან მშობლების გამოწვდილი მოსიყვარულე ხელები.

იზოლდა ჭუბაბრია — ხმამაღლა გამოცხადეს და ცამეტი წლის გოგონა სწრაფად მიეჩქარა როიალთან. წუთით შეჩერდა. სიჩუმეს დაელოდა და მერე ნაზი თითები გაბედულად შეეხო კლავიშებს. ბეთჰოვენის სონატას უკრავდა გოგონა, ყღერდნენ ბგერები, კომპოზიტორის ჩანაფიქრს ლაღად გადმოსცემდა ნიჭიერი შემსრულებელი. შემდეგ ჩაიკოვსკის ბარკაროლა და შავერზაშვილის ნოქტიურნი შეასრულა. უკანასკნელი აკორდიც მოწყდა. და მთელ საკონცერტო დარბაზს ტაშის ქარიშხალმა გადაუარა.

ტაშს უკრავდნენ თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, მაყურებლები, იზოლდა კი მორცხვად იდგა და მადლობას უხდიდა ყველას — აღმზრდელ-პედაგოგებს, ტოლ-ამხანაგებს.

მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ მის სახეზე უოქმელი დარდი იყო აღბეჭდილი. მაყურებლთა შორის ბავშვის თვალები გაფაციცებით დაეძებდა უფრო თბილს. უფრო ახლობელს. მასაც სხვა ბავშვებივით სურდა საკუთარი დიდის ტაში. სწყუროდა ერთხელ მაინც მოესმინა მშობელს მისთვის. იგი ამაო ლოდინით იმედგაცრუებული მძიმე ნაბიჯებით საფეხურებზე დაეშვა. მუსიკის მასწავლებელი მიუხვდა გუმანს და გვერდით მოისვა. ალერსივე გადაუსვა შუბლზე ხელი, ყოჩაღო, შეაქო გულდაწყვეტილი გოგონა.

დამთავრდა კონცერტი. იზოლდა შინისაკენ გეეშურა. კარის ზღურბლს ფრთხილად გადააბიჯა. — მოხვედი, შვილო! მოხუცი ბაბუას ხმა სიწყნარიდან მოესმა. — ხომ კარგად დაუკარი?! — მთრთოლვარე ხმით შეეკითხა იგი დიახო, უპასუხა გოგონამ და ყელში მობჯენილმა ბოღმამ სიტყვა წაართვა, თითქოს, დაახრჩოო ბავშვი. ხეირიანად პასუხის გაცემაც კი ვერ შეძლო, იქვე სკამზე ჩაჯდა და კედლის ერთ წერტილს მიაპყრო თვალი. ჩარჩოდან ბებიას მოსიყვარულე სახე ეღიმოდა.

• • •

— იზოლდა ტირის, მიხედე, ქალო.

— რათ დაიგვიანა ნეტავ დედამისმა.

— მცირეწლოვანი როგორ დატოვა ამდენხანს?

ასეთი საუბარი ჰქონდათ ქსენია და სტეფანე ჭუბაბრიებს, როცა მათმა რძალმა ნუნუ წულაიამ შემოაღო კარი. ყურადღება არ მიუქცევია არცერთისათვის. სწრაფად ჩაალაგა ნივთები და დედამთილ-მამამთილს განუცხადა: თქვენი ვაჟიშვილი მეტწილად ციხეში ზის. ცუდი მეუღლე, გამოუსწორებელი ადამიანი გამოდგა, მე ვთხოვდები და ბავშვს თქვენ გიტოვებთო. ნუნუს მოულოდნელი გადაწყვეტილებით მოხუცები, გაოცდნენ, მარტოდ დარჩენილნი უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ჩვილი ბავშვი კი დარბოდა ბინის ერთი კუთხიდან მეორეში, დედას უხმობდა. დედას ეძახდა...

ეს იყო ათი წლის წინათ. პატარა იზოლდა ბებიას და ბაბუას მოსავლელად დარჩა. მას ლაღად ზრდიდნენ, რომ იტყვიან ხოლმე „ჩიტის რძეს“ არ აკლებდნენ. ჩვილს ვინც მოეფერება, მისია და უდედობა დიდად არ განუცდია პატარას. არც დედას ჰქონია ბავშვთან განშორების დარდი. ნუნუმ ახალი ოჯახი გამართა, შეეძინა შვილები და ახალი კერა გააჩაღა. პირველი ქალიშვილის—იზოლდას ამბავს არც კითხულობდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც მოხუცებმა მისი შვილად აყვანა გააფორმეს. ამით ნუნუმ დედობის ტკივილი მთლიანად მოიხსნა და შვებითაც ამოისუნთქა.

შვიდი წლის იზოლდა 24-ე საშუალო სკოლაში მიიყვანეს. ბეჭითმა გოგონამ მალე მიიპყრო პედაგოგთა ყურადღება. შვილიშვილის სიყვარული გაორეცებული ჰქონდათ მოხუცებს. ისინი დედაც იყვნენ და მამაც. ბებიაც და ბაბუაც. მაგრამ... მალე ქარიშხალი შეიერია ამ მშვიდ ოჯახში, შეიჭრა და პატარა ჩიტს ბუდე დაუნგრია. მზრუნველი ბებია მძიმედ გახდა ავად და გარდაიცვალა. დარჩა ბებიას თბილ კალთას მონატრებული ათი წლის გოგონა — 70 წლის ბაბუას ანაბარა. შეშინდა ბერიკაკი. მე თვით საპატრონო და მოსავლელმა როგორ შევძლო ბავშვის მოვლა-პატრონობამ. ყოფილ რძალს მიუხმო — შენ შვილის დედა ხარ, იკისრე პასუხისმგებლობა, აღზარდე და მატერიალურად არ შეგაწუხებ, მე მოგაწვდი საზრდოსო. ძველი ავტომექანიკოსი პენსიონერი პპირდებოდა თავისი უკანასკნელი კაპიკების გაღებას. ოღონდაც იზოლდას აღზრდაში შეშველებოდა იგი.

მაგრამ ამ წინადადებას ყოფილი რძალი ცივი უარით შეხვდა. მე ახალი ოჯახი მაქვს და სხვა შვილები მყავს აღსაზრდელიო. შვილი შვილის მაგიერია? კითხულობდა დედის ამ ცივი გულით გაოცებული ბერიკაკი და შეუდგა განცხადებების წერას, ორგანიზაციებს სთხოვდა დახმარებას... მე თვით მოსავლელმა როგორ აღვზარდო მოზარდიო.

• • •

იზოლდა ოთახში ზის, გაკვეთილებს ამზადებს...

— დედას ნახულობ?

— ვეკითხები გოგონას.

— ისე, ზოგჯერ.

— კარგად გხვდება?

— დიახ, ერთხელ კამფეტი მომცა.

— შენთან თუ მოდის.

— — არა, თავისი ოჯახი აქვს, შვილები ყავს, თქვა მან, ამოიოხრა და ცოტახანს შეჩერდა, შემდეგ ისევ განაგრძო: — ბებია რომ არ გარდაცვლილიყო, რა კარგი იყო. ბაბუა მოჭავრდება. რის ეშინია, არ ვიცი. დადის, ყველას სთხოვს ჩემს აღზრდაში მოეხმარონ. მე კარგად ვსწავლობ, მუსიკაც მიყვარს. მერე კლასში ვარ. ამჟამად კონცერტისათვის ვემზადები. როგორ მინდოდა ერთხელ მაინც მოესმინა დედას ჩემთვის. გულდაწყვეტით წარმოთქვა და თვალები ცრემლით დაებინდა.

იზოლდას მშობელი ამჟამად სკოლაა. მეზობლებმა იცოდნენ მისი ოჯახის ამბავი. რომ ბავშვი ხანდაზმული ბაბუას ანაბარაა დარჩენილი. პედკოლექტივი ზრუნავს ბავშვზე. ცდილობენ სულიერი ტრავმა არ მიაყენონ. მარტოობა არ აგრძნობინონ. დედას კი არასოდეს არ შეუღია სკოლის კარი. არ უკითხავს შვილის ავკარგი.

14 წლის გოგონას ახლა სჭირდება მზრუნველი მშობლიური ხელი. სწორ გზაზე დაყენება. ამიტომ არის, რომ წლებით მხრებდაშეძიებული ბაბუა ითხოვს დახმარებას — აღსაზრდელს მეორეე დაუნიშნეთო.

განა ეს ძნელია! ნუთუ ამას უნდა ამადლდეს დედა შვილს, თავის პირველ თვალისჩინს? დედის სიყვარული ძუნწის ქისა როდია, რომ ყველა შვილს ვერ გასწვდეს, თუნდაც უთვალავი იყოს ისინი. მთავარია გული ჰქონდეს — დიდი ადამიანური გული.

ეთერ ჯაფარიძე.

САБЧОТА წყვილების ТРИУმფი

БРАТИСЛАВა. აქ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ევროპის 57-ე ჩემპიონატი ფიგურულ ციგურობაში. ევროპისა და მსოფლიოს, აგრეთვე ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონებმა ლიუდმილა ბელოუსოვამ და ოლეგ პროტოპოპოვმა აღტაცებაში მოიყვანეს არა მარტო მაყურებლები, არამედ ამ საქმის სპეციალისტები. წყვილთა ციგურაობაში მათ 104 ქულა შეაგროვეს და ნატერნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ. მეორე ადგილზეც საბჭოთა მოციგურაველები აღმოჩნდნენ. ესენი იყვნენ ტ. ეუკი და ა. გორელიკი — 101,4 ქულა.

ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაეწყვეტა ნებისმიერ ვარჯიშებს. ამ ასპარეზობას მილიონობით ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. ჩვენმა სპორტსმენებმა აჩვენეს ფიგურული ციგურაობის უბადლო ოსტატობა. კვლავ გამოირჩეოდნენ ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, რომლებმაც ევროპის ჩემპიონობა დაიმსახურეს. მეორე საბჭოთა წყვილი ტ. ეუკი და ა. გორელიკი — ვერცხლის მედალის მფლობელი გახდა.



თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9 93 03, 9-03-09, ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9 66 10, განყოფილებებისა: მარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 6-22-93, მრეწველობის —